

## შპს „კონფიდენს გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                                                                           |    |
|---------------------------------------------------------------------------|----|
| კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 2  |
| კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                   | 3  |
| კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....          | 4  |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები                                         |    |
| 1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ .....                                        | 5  |
| 2. მომზადების საფუძველი.....                                              | 5  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....                      | 6  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....                 | 9  |
| 5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან.....                                 | 9  |
| 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....                                 | 9  |
| 7. საპროცენტო ხარჯი.....                                                  | 10 |
| 8. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან .....                           | 10 |
| 9. ძირითადი საშუალებები .....                                             | 11 |
| 10. გუდვილი .....                                                         | 12 |
| 11. ფული და ფულის ექვივალენტები .....                                     | 12 |
| 12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები .....                      | 12 |
| 13. გაცემული სესხები.....                                                 | 12 |
| 14. საგადასახადო აქტივი.....                                              | 12 |
| 15. მარაგები .....                                                        | 12 |
| 16. გრძელვადიანი სესხები .....                                            | 13 |
| 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                    | 13 |

შპს „კონფიდენს გრუპი“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                         | შენიშვნა | 2019<br>(არააუდიტირებული) | 2018<br>(არააუდიტირებული) |
|---------------------------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან                      | 5        | 2,413,305                 | 2,126,417                 |
| მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები |          | (274,206)                 | (147,713)                 |
| <b>საერთო მოგება</b>                                    |          | <b>2,139,098</b>          | <b>1,978,704</b>          |
| რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები                    |          | (16,594)                  | (26,595)                  |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                       | 6        | (3,310,612)               | (2,937,741)               |
| <b>საოპერაციო ზარალი</b>                                |          | <b>(1,188,107)</b>        | <b>(985,632)</b>          |
| საპროცენტო შემოსავალი                                   |          | 115,890                   | 132,370                   |
| საპროცენტო ხარჯი                                        | 7        | (2,959,709)               | (3,401,301)               |
| მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან                  | 8        | (5,666,256)               | (2,223,374)               |
| <b>მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე</b>         |          | <b>(9,698,183)</b>        | <b>(6,477,937)</b>        |
| მოგების გადასახადი                                      |          |                           |                           |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>                           |          | <b>(9,698,183)</b>        | <b>(6,477,937)</b>        |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 24 სექტემბერს:



ოზგურ დურდაბაქ  
დირექტორი

**შპს „კონფიდენს გრუპი“**

**კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                         | შენიშვნა | 2019<br>(არააუდიტირებული) | 2018<br>(არააუდიტირებული) |
|---------------------------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან                      | 5        | 2,413,305                 | 2,126,417                 |
| მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები |          | (274,206)                 | (147,713)                 |
| <b>საერთო მოგება</b>                                    |          | <b>2,139,098</b>          | <b>1,978,704</b>          |
| რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები                    |          | (16,594)                  | (26,595)                  |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                       | 6        | (3,310,612)               | (2,937,741)               |
| <b>საოპერაციო ზარალი</b>                                |          | <b>(1,188,107)</b>        | <b>(985,632)</b>          |
| საპროცენტო შემოსავალი                                   |          | 115,890                   | 132,370                   |
| საპროცენტო ხარჯი                                        | 7        | (2,959,709)               | (3,401,301)               |
| მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან                  | 8        | (5,666,256)               | (2,223,374)               |
| <b>მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე</b>         |          | <b>(9,698,183)</b>        | <b>(6,477,937)</b>        |
| მოგების გადასახადი                                      |          | -                         | -                         |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>                           |          | <b>(9,698,183)</b>        | <b>(6,477,937)</b>        |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 24 სექტემბერს:

ოზგურ დურდაბაქ  
დირექტორი

## შპს „კონფიდენს გრუპი“

## კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                               | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2019<br>(არააუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2018<br>(არააუდიტირებული) | 1 იანვარი 2018<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|-------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                                        |                                        |                                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                                        |                                        |                                     |
| ძირითადი საშუალებები                          | 9        | 50,486,883                             | 37,152,980                             | 34,134,855                          |
| გუდვილი                                       | 10       | 1,305,405                              | 1,468,581                              | 1,631,757                           |
| არამატერიალური აქტივები                       |          | 12,083                                 | 10,470                                 | 10,741                              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>51,804,372</b>                      | <b>38,632,031</b>                      | <b>35,777,353</b>                   |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                                        |                                        |                                     |
| ფული და ფულის ექვივალენტები                   | 11       | 429,220                                | 1,288,289                              | 590,392                             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 12       | 1,471,883                              | 1,241,165                              | 970,535                             |
| გაცემული სესხები                              | 13       | 1,689,645                              | 1,571,378                              | 1,454,349                           |
| სხვა მიმდინარე აქტივები                       |          | 2,072                                  | 1,815                                  | 3,986                               |
| საგადასახადო აქტივი                           | 14       | 1,625,893                              | 345,065                                | 125,762                             |
| მარაგები                                      | 15       | 606,193                                | 307,491                                | 229,654                             |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>5,824,906</b>                       | <b>4,755,203</b>                       | <b>3,374,678</b>                    |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>57,629,278</b>                      | <b>43,387,234</b>                      | <b>39,152,031</b>                   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                                        |                                        |                                     |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | 200                                    | 200                                    | 200                                 |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | (45,339,997)                           | (35,641,814)                           | (42,700,244)                        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           |          | <b>(45,339,797)</b>                    | <b>(35,641,614)</b>                    | <b>(42,700,044)</b>                 |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |                                        |                                        |                                     |
| გრძელვადიანი სესხები                          | 16       | 100,105,401                            | 76,287,442                             | 78,999,229                          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>100,105,401</b>                     | <b>76,287,442</b>                      | <b>78,999,229</b>                   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |                                        |                                        |                                     |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 | 17       | 2,863,674                              | 2,741,406                              | 2,852,846                           |
| მოკლევადიანი სესხები                          |          | -                                      | -                                      | -                                   |
| გადასახდელი იჯარა                             |          | -                                      | -                                      | -                                   |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>2,863,674</b>                       | <b>2,741,406</b>                       | <b>2,852,846</b>                    |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>57,629,278</b>                      | <b>43,387,234</b>                      | <b>39,152,031</b>                   |

**შპს „კონფიდენს გრუპი“**

**კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

| <b>(არააუდიტირებული)</b>    | <b>საწედებო კაპიტალი</b> | <b>დაგროვილი ზარალი</b> | <b>ჯამი</b>         |
|-----------------------------|--------------------------|-------------------------|---------------------|
| <b>1 იანვარი 2018</b>       | <b>200</b>               | <b>(42,700,244)</b>     | <b>(42,700,044)</b> |
| კაპიტალის ზრდა              | 13,536,367               |                         | 13,536,367          |
| მიმდინარე წლის სრული ზარალი |                          | (6,477,937)             | (6,477,937)         |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>    | <b>13,536,567</b>        | <b>(49,178,181)</b>     | <b>(35,641,614)</b> |
| კაპიტალის ზრდა              | -                        |                         | -                   |
| მიმდინარე წლის სრული ზარალი |                          | (9,698,183)             | (9,698,183)         |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>    | <b>13,536,567</b>        | <b>(58,876,364)</b>     | <b>(45,339,797)</b> |

## შპს „კონფიდენს გრუპი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

კონფიდენს გრუპი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2009 წლის 29 მაისს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205279884.

**ძირითადი საქმიანობა.** შპს „კონფიდენს გრუპი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, სარემონტო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება და სპა ცენტრის მომსახურება.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქ., №24

**დედა კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილებს ფლობდა შემდეგი სამი კომპანია: 1) შპს "ელიტ პრო"(404554059) - 50%. 2) ფელიქს გრუპ დი-ემ-სი-სი დუბაი არაბთა გაერთიანებული საემიროები, DMCC123002, - 25%. 3) სკორპიო ინვესტმენტს ელ-თიდი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, , IBC/04/15/10643, - 25%.

**ჯგუფის სტრუქტურა:** შპს კონფიდენს ჯგუფი (შემდგომში ჯგუფი შვილობილებთან ერთად) თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს:

| შვილობილი კომპანია | საქმიანობის სახე                         | წილი/ხმის უფლება (%) |
|--------------------|------------------------------------------|----------------------|
|                    |                                          | 2019                 |
| შპს ნავთობბაზა     | უძრავი ქონების მართვა                    | 100%                 |
| შპს თეატრები აპოლო | კინოთეატრების ორგანიზება და ექსპლოატაცია | 80%                  |

#### 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ჯგუფის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

**მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება.** წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. ჯგუფმა გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამოწვევისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2018 წელს მომზადებული წინასწარი ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა მსს ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

### კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით; 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

**შვილობილი კომპანიები.** შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. ჯგუფს ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი                        | სასარგებლო მომსახურების |
|------------------------------|-------------------------|
|                              | ვადა                    |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | 5-15                    |
| კომპიუტერული ტექნიკა         | 3-10                    |
| მანქანა-დანადგარები          | 10-20                   |
| ავეჯი და საოფისე ინვენტარი   | 5-10                    |

#### არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

**მარაგები.** ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად ჯგუფი აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**შემოსავლების აღიარება.** შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** ჯგუფს ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

#### 5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

|                      | 2019             | 2018             |
|----------------------|------------------|------------------|
| შემოსავლები სპადან   | 1,385,972        | 1,180,975        |
| შემოსავლები იჯარიდან | 1,027,333        | 945,442          |
|                      | <b>2,413,305</b> | <b>2,126,417</b> |

#### 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

## შპს „კონფიდენს გრუპი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                  | 2019               | 2018               |
|----------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურება               | (1,443,797)        | (1,214,580)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია             | (730,917)          | (925,190)          |
| საიჯარო ქირა                     | (353,791)          | (248,276)          |
| საგადასახადო ხარჯი               | (240,745)          | (140,306)          |
| სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი | (200,014)          | (313,665)          |
| ბანკის საკომისიო                 | (125,065)          | (27,951)           |
| წარმომადგენლობითი ხარჯები        | (113,352)          | (1,114)            |
| საყოფაცხოვრებო ხარჯები           | (81,277)           | (49,312)           |
| კომუნიკაციის ხარჯები             | (12,990)           | (8,371)            |
| საკანცელარიო ხარჯები             | (5,049)            | (3,742)            |
| რემონტის ხარჯები                 | (3,616)            | (5,234)            |
|                                  | <b>(3,310,612)</b> | <b>(2,937,741)</b> |

## 7. საპროცენტო ხარჯი

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 2,959,709 ლარი, რომელიც მთლიანად შედგება გრძელვადიანი სესხების პროცენტისგან.

## 8. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

|                               | 2019               | 2018               |
|-------------------------------|--------------------|--------------------|
| გრძელვადიანი სესხები          | (5,675,779)        | (2,317,824)        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები   | 19,660             | 8,440              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (10,137)           | 86,010             |
|                               | <b>(5,666,256)</b> | <b>(2,223,374)</b> |

შპს „კონფიდენს გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

|                                        | მიწა       | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობები    | მანქანა-<br>დანადგარები | ავეჯი, ოფისის<br>აღჭურვილობა<br>და<br>კომპიუტერული<br>ტექნიკა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>ამორტიზებადი<br>ძირითადი<br>საშუალებები | იჯარით<br>აღებული<br>ძირითადი<br>საშუალებების<br>კეთილმოწყობა | სულ<br>ძირითადი<br>საშუალებები |
|----------------------------------------|------------|-----------------------------|-------------|-------------------------|---------------------------------------------------------------|-----------------------------|-------------------------------------------------|---------------------------------------------------------------|--------------------------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>            |            |                             |             |                         |                                                               |                             |                                                 |                                                               |                                |
| 1 იანვარი 2018                         | 18,192,901 | 3,957,294                   | 12,801,592  | 137,995                 | 1,178,315                                                     | 139,751                     | 46,043                                          | 2,275,901                                                     | 38,729,790                     |
| შემოსვლა                               | -          | 2,644,773                   | 1,084,949   | 3,684                   | 52,810                                                        | -                           | -                                               | 2,771                                                         | 3,788,986                      |
| გასვლა                                 | -          | -                           | -           | -                       | -                                                             | (78,160)                    | -                                               | -                                                             | (78,160)                       |
| 31 დეკემბერი 2018                      | 18,192,901 | 6,602,066                   | 13,886,540  | 141,679                 | 1,231,125                                                     | 61,590                      | 46,043                                          | 2,278,672                                                     | 42,440,616                     |
| შემოსვლა                               | -          | 13,319,990                  | -           | 195,512                 | 364,590                                                       | 16,676                      | -                                               | 5,470                                                         | 13,902,236                     |
| გასვლა                                 | -          | -                           | -           | -                       | -                                                             | (18,978)                    | -                                               | -                                                             | (18,978)                       |
| 31 დეკემბერი 2019                      | 18,192,901 | 19,922,056                  | 13,886,540  | 337,190                 | 1,595,714                                                     | 59,288                      | 46,043                                          | 2,284,142                                                     | 56,323,874                     |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                 |            |                             |             |                         |                                                               |                             |                                                 |                                                               |                                |
| 1 იანვარი 2018                         | -          | -                           | (1,586,066) | (54,972)                | (674,072)                                                     | (102,331)                   | (4,965)                                         | (2,172,530)                                                   | (4,594,935)                    |
| ცვეთის ხარჯი                           | -          | -                           | (339,122)   | (17,497)                | (283,529)                                                     | (12,318)                    | (3,136)                                         | (106,142)                                                     | (761,743)                      |
| გასვლა წლის განმავლობაში               | -          | -                           | -           | -                       | -                                                             | 69,042                      | -                                               | -                                                             | 69,042                         |
| 31 დეკემბერი 2018                      | -          | -                           | (1,925,187) | (72,469)                | (957,600)                                                     | (45,608)                    | (8,100)                                         | (2,278,672)                                                   | (5,287,637)                    |
| ცვეთის ხარჯი                           | -          | -                           | (367,299)   | (30,012)                | (150,384)                                                     | (10,450)                    | (3,136)                                         | (5,470)                                                       | (566,751)                      |
| გასვლა                                 | -          | -                           | -           | -                       | -                                                             | 17,397                      | -                                               | -                                                             | 17,397                         |
| 31 დეკემბერი 2019                      | -          | -                           | (2,292,487) | (102,481)               | (1,107,984)                                                   | (38,661)                    | (11,236)                                        | (2,284,142)                                                   | (5,836,991)                    |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |            |                             |             |                         |                                                               |                             |                                                 |                                                               |                                |
| 1 იანვარი 2018                         | 18,192,901 | 3,957,294                   | 11,215,526  | 83,022                  | 504,244                                                       | 37,420                      | 41,078                                          | 103,371                                                       | 34,134,855                     |
| 31 დეკემბერი 2018                      | 18,192,901 | 6,602,066                   | 11,961,353  | 69,209                  | 273,525                                                       | 15,983                      | 37,942                                          | -                                                             | 37,152,980                     |
| 31 დეკემბერი 2019                      | 18,192,901 | 19,922,056                  | 11,594,054  | 234,709                 | 487,731                                                       | 20,627                      | 34,807                                          | -                                                             | 50,486,883                     |

## შპს „კონფიდენს გრუპი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 10. გუდვილი

ჯგუფმა გამოიყენა მსს ფასს სტანდარტის 35.10 პუნქტის შესაბამისად დაშვებული გამონაკლისი და სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე მომხდარი ბიზნეს კომბინაციებისთვის არ იყენებს მე-19 განყოფილების მოთხოვნებს. გუდვილის ამორტიზირება ხდება წრფივად სტანდარტით დაშვებული მაქსიმალური ვადის - 10 წლის განმავლობაში.

#### 11. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                        | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|----------------|
| ფული ბანკში                            | 421,607           | 1,267,737         | 578,072        |
| ფული სალაროში                          | 7,614             | 20,552            | 12,320         |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>429,220</b>    | <b>1,288,289</b>  | <b>590,392</b> |

#### 12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები

|                                       | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 867,056           | 228,450           | 845,967        |
| მოკლევადიანი ავანსები                 | 604,761           | 1,012,648         | 124,501        |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები          | 67                | 67                | 67             |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>1,471,883</b>  | <b>1,241,165</b>  | <b>970,535</b> |

#### 13. გაცემული სესხები

|                             | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|-----------------------------|-------------------|-------------------|------------------|
| გაცემული სესხები            | 1,159,729         | 1,157,079         | 1,155,601        |
| მისაღები პროცენტები         | 529,915           | 414,299           | 298,748          |
| <b>სულ გაცემული სესხები</b> | <b>1,689,645</b>  | <b>1,571,378</b>  | <b>1,454,349</b> |

#### 14. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად ჯგუფი აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს, კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარდება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.

#### 15. მარაგები

|                      | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|----------------------|-------------------|-------------------|----------------|
| ნედლეული და მასალები | 576,972           | 251,733           | 229,654        |
| სხვა მასალები        | 29,222            | 55,758            | -              |
| <b>სულ მარაგები</b>  | <b>606,193</b>    | <b>307,491</b>    | <b>229,654</b> |

## შპს „კონფიდენს გრუპი“

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 16. გრძელვადიანი სესხები

|                                 | 31 დეკემბერი 2019  | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018    |
|---------------------------------|--------------------|-------------------|-------------------|
| გრძელვადიანი სესხები            | 95,119,195         | 74,755,914        | 67,214,193        |
| გადასახდელი პროცენტები          | 4,986,206          | 1,531,528         | 11,785,036        |
| <b>სულ გრძელვადიანი სესხები</b> | <b>100,105,401</b> | <b>76,287,442</b> | <b>78,999,229</b> |

ჯგუფს აქვს მიღებული გრძელვადიანი სესხები, როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ინსტიტუტებისგან. ბანკებისგან მიღებული სესხები და პროცენტები ჯამურად, 2018 წლის ბოლოსათვის, შეადგენს 8,367,800 ლარს. კომპანიებისგან მიღებული სესხები და პროცენტები შეადგენს 91,737,601 ლარს.

#### 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                       | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|-------------------------------------------------------|-------------------|-------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                                 | 2,822,953         | 2,701,299         | 2,847,888        |
| გადასახდელი ხელფასები                                 | 36,639            | 40,107            | 4,958            |
| მიღებული ავანსები                                     | 4,083             | -                 | -                |
| <b>სულ სავაჭრო ვალდებულებები და მირებული ავანსები</b> | <b>2,863,674</b>  | <b>2,741,406</b>  | <b>2,852,846</b> |